



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49. 49232095

თარიღი:28/07/2023

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №94**

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და მე-16 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად,

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა ეთიკის კოდექსი (დანართი თან ერთვის) .
2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11)

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი



## წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა ეთიკის კოდექსი

ეთიკის კოდექსის მიზანია, სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული პასუხისმგებლობის გათვალისწინებით დაადგინოს საკრებულოს წევრების მაღალი პროფესიული და ეთიკური სტანდარტები, ხელი შეუწყოს საკრებულოსადმი საზოგადოების ნდობის ამაღლებას და საკრებულოს წევრების მიერ მათი მოვალეობების ღირსეულად და კეთილსინდისიერად შესრულებას. ქვეყნის ზოგადი წესების მიზანია საკრებულოს წევრის მიერ უფლებამოსილების შესრულებისას ქვეყნის მომწესრიგებელი ზოგადი პრინციპების დამკვიდრება.

ამავე დროს, საკრებულოს წევრის მიერ ეთიკური ნორმების დაცვა კარგი მმართველობის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია. ქვეყნის სტანდარტები აუმჯობესებს ანგარიშვალდებულებას, რადგან საზოგადოებას და მედიას მათი სახით საკრებულოს წევრთა ქვეყნის გასაზომად მკაფიო კრიტერიუმები ეძლევათ. ქვეყნის სტანდარტები ასევე ხელს უწყობს საკრებულოს წევრებში ერთობის ჩამოყალიბებას, რაც საშუალებას აძლევს მათ, მიუხედავად პოლიტიკური შეხედულებებისა, იმოქმედონ კოლეგიალურობის პრინციპით.

ეთიკასთან დაკავშირებული რეგულირება არანაირად არ ზღუდავს საკრებულოს წევრის უფლებას პირად ცხოვრებაზე და მხოლოდ მათი პროფესიული და საჯარო ცხოვრება ექვემდებარება რეგულირებას. ასეთი რეგულირება ასევე არ ზღუდავს საკრებულოს წევრის დებატებში მონაწილეობის უფლებას.

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო ითვალისწინებს, რომ საკრებულოს წევრთა ზნეობრივ და სამართლიან მოქმედებებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყანაში ადგილობრივი წარმომადგენლობითი ინსტიტუტებისადმი საზოგადოების ნდობის განმტკიცებაში, ამ კოდექსით გათვალისწინებული ნორმების სრულყოფასა და განვითარებაში, შესაბამისად ვალდებულებას იღებს, დაიცვას საკრებულოს წევრთა ეთიკის კოდექსის აღიარებული და შეთანხმებული ძირითადი პრინციპები და საფუძვლები:

- ა) საქართველოს სახელმწიფოსა და ხალხის ერთგულება;
- ბ) პატიოსნება;
- გ) ადამიანის უფლებების, თავისუფლებების და ღირსების პატივისცემა;
- დ) ანგარიშვალდებულება ამომრჩეველთა წინაშე;
- ე) საქვეყნოობა;
- ვ) ტოლერანტობა;
- ზ) კაცთმოყვარეობა და თმენის უნარი, მიუხედავად პოლიტიკური შეხედულებებისა;

2. საკრებულოს წევრი სარგებლობს თავისუფალი მანდატით და მისი გაწვევა დაუშვებელია. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი თავისი მოვალეობების შესრულებისას შეზღუდული არ არის ამომრჩევლებისა და მისი წარმდგენი პოლიტიკური გაერთიანების განაწესითა და დავალებებით.

3. საკრებულოს წევრის ძირითადი მოვალეობები მოცემულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-14 მუხლში.

4. საკრებულოს წევრი ვალდებულია:

- ა) დაიცვას საკრებულოს წევრთა ეთიკის კოდექსის მოთხოვნები;

- ბ) თავისი საქმიანობით გააუმჯობესოს საკრებულოსა და მისი სტრუქტურების მუშაობა, რისთვისაც სრულად უნდა გამოიყენოს ცოდნა და გამოცდილება;
- გ) გადაწყვეტილებათა მომზადების, განხილვისა და მიღების დროს, ასევე სხვა პოლიტიკური საქმიანობის განხორციელებისას უნდა იხელმძღვანეოლოს მხოლოდ კანონიერი, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესებით;
- დ) აქტიურად ითანამშრომლოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებთან საზოგადოებისათვის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით;
- ე) ყველას მიმართ იყოს სამართლიანი, უნდა იმოქმედოს მიუკერძოებლად კონსტიტუციის, კანონების, პროცედურული წესებისა და ეთიკის კოდექსის საფუძველზე და დაიცვას კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის პრინციპი. პატივისცემით უნდა მოეპყრონ საქარველოსა და სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებს, განურჩევლად რასისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა პოლიტიკური და სხვა შეხედულებისა, ეროვნულ-ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა და საცხოვრებელი ადგილისა. დაიცვას ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა. თავი უნდა შეიკავოს ჰომოფობიური განცხადებებისაგან;
- ვ) საკრებულოს საქმიანობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში თავისი გარეგნული იერით, ქცევითა და საჯარო გამოსვლებით უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოებრივი ეთიკის საყოველთაოდ მიღებულ ნორმებს.

5. საკრებულოს წევრები ყველა ვითარებაში უნდა მოიქცნენ საზოგადოების მიერ მათდამი გამოხატული ნდობისა და საკრებულოს სტატუსის შესაბამისად, კერძოდ, საკრებულოს წევრის მოვალეობაა:

- ა) დაიცვას საკრებულოს ავტორიტეტი და საზოგადოებრივი ინტერესები საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი საკრებულოს სხდომის წესები;
- ბ) არ დაუშვას თავისი კოლეგების, საკრებულოში მომუშავეთა და სხვა პირთა შეურაცხყოფა და უპატივცემულობა მათი განსხვავებული პოზიციის გამო. საკრებულოს წევრები არ უნდა იყენებდნენ დამამცირებელ, შეურაცხმყოფელ გამოთქმებსა და უხამს სიტყვებს;
- გ) იყოს გულისხმიერი და კორექტული იმ პირთა მიმართ, რომლებიც მას მიმართავენ. დაუშვებელია პირადი დამოკიდებულებების სამსახურისათვის მიუღებელი ფორმით გამოხატვა, საკრებულოს წევრის მანდატთან შეუსაბამო საქციელი, განურჩევლად იმისა, სამსახურშია ჩადენილი, თუ მის გარეთ.

6. საკრებულოს წევრებმა დროულად უნდა განაცხადონ საკუთარი ინტერესების თაობაზე, რათა თავიდან აიცილონ ნებისმიერი შესაძლო კონფლიქტი პირად, მათ შორის, ფინანსურ და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის, ხოლო კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევაში უარი უნდა თქვან აღნიშნული საკითხის განხილვაში მონაწილეობის მიღებაზე. ეკრძალება ნებისმიერი საჩუქრის ან მომსახურების მიღება, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაზე.

7. საკრებულოს წევრებმა კრიტიკის მიმართ ტოლერანტული და კორექტული დამოკიდებულება უნდა გამოავლინონ.

8. საკრებულოს რესურსები მხოლოდ საჯარო სამსახურისათვის უნდა გამოიყენებოდეს და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გამოყენებული პოლიტიკური პარტიის ან პირადი ინტერესების სასარგებლოდ.

9. საკრებულოს სხდომის წესების დარღვევისათვის სხდომაში მონაწილე პირის მიმართ პასუხისმგებლობის საკითხი რეგულირდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-9 თავით.

10. ეთიკის კოდექსის მოხონების დარღვევაზე განცხადება, დადგენილი ფორმის მიხედვით, საკრებულოში შეიძლება შეიტანოს როგორც საკრებულოს წევრმა, ასევე ნებისმიერმა მოქალაქემ,

იურიდიული პირის წარმომადგენელმა. შეიძლება საჩივარი შემოვიდეს საკრებულოში მოქმედი ცხელი ხაზით, რა დროსაც განემარტება სათანადო განცხადების წარდგენის ვალდებულების შესახებ.

11. განცხადების რეგისტრაციიდან სამი კალენდრული დღის ვადაში საკრებულოს წევრს უნდა ეცნობოს დარღვევის თაობაზე განცხადების შეტანის შესახებ. მას მიეცემა 10 დღის ვადა განცხადებაში მითითებულ ბრალდებებზე პასუხის გასაცემად. ჯგუფის მიერ განცხადების შესწავლის შემდეგ, თუ დადგინდა ეთიკის კოდექსის მოთხოვნების დარღვევა, დამრღვევს დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა საკრებულოს გადაწყვეტილებით, რეგლამენტით დადგენილი პროცედურების დაცვით.
12. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებია:
  - ა) წესრიგისკენ მოწოდება;
  - ბ) გაფრთხილება;
  - გ) გაფრთხილება ოქმში შეტანით;
13. დარღვევის ხასიათიდან და სიმძიმეიდან გამომდინარე ჯგუფს შეუძლია მიიღოს სარეკომენდაციო ხასიათის მითითება. პრაქტიკის განზოგადებით შემუშავდება რეკომენდაციები საკრებულოს წევრებისათვის.
14. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევაში მოხდება საკრებულოს წევრის სახელის გასაჯაროება, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.
15. კოდექსი მოქმედებს ყოველი შემდგომი მოწვევის საკრებულოს წევრებზე. შესაბამისად, ყოველ ახალ საკრებულოს წევრს მოეთხოვება ამ დოკუმენტის საჯაროდ ხელმოწერა და მოცემული კოდექსის მოთხოვნების შესრულება.